დანართი N1

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტრული ერთეულის ხელმძღვანელი

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

ბ) ანაწილებს სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და მოსამსახურეთა ფუნქციებს, კომპეტენციებსა და პასუხისმგებლობას.

გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესებს, ფორმებსა და მეთოდებს; სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს.

დ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

ე) უნაწილებს კორესპონდენციას თანამშრომლებს, აწესებს კონტროლს მის შესრულებაზე, ანაწილებს დავალებებს სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებსა და საჯარო მოსამსახურეთა შორის, ისმენს ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ,კონტროლს უწევს შინაგანაწესის დაცვას.

ვ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების,კვალიფიკაციისამაღლებისა დასწავლებისშესახებ.

ზ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

თ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ.

ი) ახორციელებს კანონმდებლობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

დანართი N2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილებაში - გელა ცქიფურიშვილი

ა) წარმართავს განყოფილების საქმიანობას; პასუხს აგებს განყოფილების მიერ ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;

ბ) უზრუნველყოფს განყოფილების მიერ სამსახურის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

გ) ანაწილებს დავალებებს განყოფილების მოხელეებს შორის, უზრუნველყოფს სამსახურის დებულებით და სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;

დ) ამზადებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშებს განყოფილების მიერ სამუშაოების შესრულების შესახებ;

ე) ხელს აწერს განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

ვ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ზ) განყოფილების უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

დანართი N3

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების , პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ბადრი აბჟანდაძე

უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების მონიტორინგს;

ბ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნის, განვითარების და მათი ექსპლოატაციის საკითხებზე;

გ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობას;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას;

ე) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამის მომზადების ორგანიზებას, პროგრამის განსახორციელებლად დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ვ) ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას;

ზ) მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაში არსებული პრობლემური საკითხების მონაცემთა ბაზის შექმნას;

თ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

დანართი N4

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - გოდერძი თურქაძე

უზრუნველყოფს:

ა) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ბ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობას;

გ) წინადადებების შემუშავებას სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზების საკითხებზე;

დ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვასა და მოვლა-პატრონობას;

ე) მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრომელიორაციისა და სასმელი წყლის სისტემების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას, ამ მიზნით მიმართულებების განსაზღვრას, ღონისძიებების დაგეგმვას, ზედამხედველობას, პროექტების მომზადებას, მათი რეალიზების მონიტორინგს და შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადებაში უშუალო მონაწილეობას;

ვ) უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად და შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის მიღებას, სისტემატიზაციას და დამუშავებას, მათ შორის ამ საკითხზე კორესპოდენციაზე, მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირებას;

ზ) სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის ამსახველი დოკუმენტაციის მომზადებას და წინადადებების მიწოდებას ხელმძღვანელობისათვის ზიანის სალიკვიდაციოდ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფის თაობაზე.

თ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა

ფუნქციების განხორციელებას

დანართი N5

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -იულონ ჭანტურიძე

უზრუნველყოფს:

ა) უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად და შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის მიღებას, სისტემატიზაციას და დამუშავებას, მათ შორის ამ საკითხზე კორესპონდეციაზე, მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირებას;

ბ) პრიორიტეტების მიხედვით ინფრასტრუქტურული პროექტების განსაზღვრას და დაგეგმვას, მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვებით განხორციელებული შესაბამისი სამუშაოების, მომსახურების ან/და საგნის ტექნიკური დავალებების, საპროექტო დოკუმენტაციების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას;

გ) მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზების, მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნის, რეაბილიტაციის და განვითარების თაობაზე წინადადებების მომზადებას, შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების მონიტორინგს;

დ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფასა, დგომის/გაჩერების რეგულირებას და შესაბამის მონიტორინგს;

ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას;

დანართი N6

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ზაზა მესხი

უზრუნველოფს:

ა) პრიორიტეტების მიხედვით ინფრასტრუქტურული პროექტების განსაზღვრას და დაგეგმვას, მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვებით განხორციელებული შესაბამისი სამუშაოების, მომსახურების ან/და საგნის ტექნიკური დავალებების, საპროექტო დოკუმენტაციების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების დარეგისტრირებას, შესაბამის სამინისტროებთან და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობას;

გ)მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას;

დანართი N7

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - კონსტანტინე სირბილაძე

უზრუნველყოფს

ა) დასახლებათა საჭიროებების განსაზღვრისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრებში, საერთო კრებებში მონაწილეობას, სათანადო ინფორმაციების შეგროვებასა და ანალიზს;

ბ) მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი განვითარების სამოქმედო გეგმების, პროგრამების შედგენაში მონაწილეობის მიღებას;

გ) მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზების, მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნის, რეაბილიტაციის და განვითარების თაობაზე წინადადებების მომზადებას, შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების მონიტორინგს.

დ) წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალნარინების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის სამუშაოთა დაგეგმას და მათი შესრულების კოორდინაციას;

ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას;

დანართი N8

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -

უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას;

ბ) მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციის და განვითარების დაგეგმვას;

გ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალიტეტის დასახლებათა დასუფთავების, ნარჩენების გატანისა და უტილიზაციის საკითხებზე;

დ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

დანართი N9

მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებაში- ამირან სოფრომაძე

ა) წარმართავს განყოფილების საქმიანობას; პასუხს აგებს განყოფილების მიერ ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;

ბ) უზრუნველყოფს განყოფილების მიერ სამსახურის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

გ) ანაწილებს დავალებებს განყოფილების მოხელეებს შორის, უზრუნველყოფს სამსახურის დებულებით და სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;

დ) ამზადებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშებს განყოფილების მიერ სამუშაოების შესრულების შესახებ;

ე) ხელს აწერს განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

ვ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ზ) განყოფილების უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსი ს წინაშე.

დანართი N10

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი --კობა ფორჩხიძე უზრუნველყოფს:

ა) სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების მომზადების ორგანიზებას;

ბ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების პროექტებზე;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის დაგეგმვას, უფლებრივ ზონირების თაობაზე წინადადების მომზადებას;

დ)დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავებას;

ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

დანართი N11

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებაში- ზურაბ მაკარიძე

უზრუნველყოფს:

ა) საქმისწარმოებას მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით;

ბ) მშენებლობის ნებართვის თაობაზე დასკვნების/პროექტების შემუშავებას;

გ) მშენებლობის ნებართვის თაობაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტების შემუშავებას;

დ) მშენებლობის ნებართვების გასაცემად საჭირო პირობების, საპროექტო და სხვა დოკუმენტაციების კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების შემუშავებას;

ე) სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების მომზადების ორგანიზებას;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

დანართი N12

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სოფიო სირბილაძე

უზრუნველყოფს:

ა) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების პროექტებზე;

ბ) სამშენებლო მუნიციპალური დაკვეთების მომზადებას და მათი განხორციელების კოორდინაციას.

ბ) მუნიციპალიტეტის მიერ დაკვეთილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესწავლას და სათანადო დასკვნების მომზადებას.

დ) მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების და პროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კონსტანტინე კალატოზი

უზრუნველყოფს:

ა) მშენებლობის ნებართვების გასაცემად საჭირო პირობების, საპროექტო და სხვა დოკუმენტაციების კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების შემუშავებას;

ბ) სამშენებლო მუნიციპალური დაკვეთების მომზადებას და მათი განხორციელების კოორდინაციას;

გ) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვას;

დ) ახორციელებს კანონმდებლობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

დანართი N14

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-

რამაზ ლორთქიფანიძე

უზრუნველყოფს:

ა) გარე რეკლამისგან თავსების ადგილების შერჩევაში მონაწილეობის მიღებას.

ბ) გარე რეკლამის განთავსების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

გ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას დასახლებათა მიწათსარგებლობის, უფლებრივი ზონირების, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებზე.

დ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

დანართი N15

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-

უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ბ) გეგმარებითი დავალებების მომზადებას;

გ)უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად და შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის მიღებას, სისტემატიზაციას და დამუშავებას, მათ შორის ამ საკითხზე კორესპოდენციაზე, მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირებას;

დ) ახორციელებს კანონმდებლობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.